

შპს ჯეოკები

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

შინაარსი:

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება

ფინანდური მდგომარეობის ინდივიდუალური ანგარიშგება	3
სრული შემოსავლის ინდივიდუალური ანგარიშგება	4
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ინდივიდუალური ანგარიშგება	5
ფულადი ნაკადების ინდივიდუალური ანგარიშგება	6

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია.....	7
2. მომზადების საფუძვლები	7
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები.....	7
4. შესადარისი ინფორმაციის ცვლილება	8
5. ძირითადი საშუალებები	9
6. ინვესტიცია შვილობილ საწარმოში	9
7. მარაგები.....	9
8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	9
9. ფული და ფულის ეკვივალენტები	9
10. მიღებული სესხები	10
11. საგადასახადო ვალდებულებები.....	10
12. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები.....	10
13. ამონაგები.....	10
14. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	10
15. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები.....	11
16. ფინანსური ხარჯი.....	11
17. ზარალი საკუთარ სხვაობიდან, წმინდა	11
18. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	11
19. პირობითი ვალდებულებები	12
20. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები.....	12
21. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	12

შპს ჯეოკაპი

ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალური ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარში)

	შენიშვნა	31.12.2020	31.12.2019 გადაანგარიშებული *
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	5	2,419,839	2,809,107
ინვესტიცია შვილობილ საწარმოში	6	5,571,055	986,475
		7,990,894	3,795,582
მიმდინარე ქტივები			
მარაგები	7	1,516,408	1,244,401
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8	1,974,277	751,452
ფული და ფულის ეკვივალენტები	9	70,452	275,348
		3,561,137	2,271,201
აქტივები სულ		11,552,031	6,066,783
საწესდებო კაპიტალი და ვალდებულებები			
საწესდებო კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		7,085,755	2,501,175
დაგროვილი ზარალი		(3,809,970)	(3,246,990)
		3,275,785	(745,815)
გრძელვადიანი ვალდებულებები			
მიღებული სესხები	10	5,436,600	4,877,304
		5,436,600	4,877,304
მიმდინარე ვალდებულებები			
მიღებული სესხები	10	1,962,611	1,353,574
საგადასახადო ვალდებულებები	11	79,509	39,016
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	12	797,526	542,704
		2,839,646	1,935,294
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		11,552,031	6,066,783

* შესადარისი ინფორმაციის ცვლილების ეფექტი ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალურ ანგარიშგებაზე მოცემულია მე-4 შენიშვნაში.

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2021 წლის 24 სექტემბერს შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი



გ. ჯამრიშვილი

9-16 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს ჯეოკეპი

სრული შემოსავლის ინდივიდუალური ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

	შენიშვნა	2020	2019 გადაანგარიშებული*
ამონაგები	13	6,663,091	5,535,876
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	14	(4,416,338)	(4,375,741)
		2,246,753	1,160,135
მიწოდების ხარჯები		(220,713)	(100,992)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	15	(826,507)	(225,089)
საოპერაციო მოგება		1,199,533	834,054
ფინანსური ხარჯი	16	(329,787)	(322,703)
ზარალი საკუროს სხვაობიდან, წმინდა	17	(1,461,005)	(264,413)
ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან		28,279	(18,255)
მიღებული მოგება/(ზარალი)			
მოგება (ზარალი) დაბეგვრამდე:		(562,980)	228,683
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წლის მთლიანი სრული (ზარალი)/შემოსავალი		(562,980)	228,683

* შესადარისი ინფორმაციის ცვლილების ეფექტი მოცემულია მე-4 შენიშვნაში.

შპს ჯეოკეპი

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ინდივიდუალური ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

	კაპიტალი
2018 წლის 31 დეკემბერი	(1,960,743)
საწესდებო კაპიტალის ცვლილება	986,245
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	228,683
2019 წლის 31 დეკემბერი	(745,815)
საწესდებო კაპიტალის ცვლილება	4,584,580
წლის მთლიანი სრული ზარალი	(562,980)
2020 წლის 31 დეკემბერი	3,275,785

9-16 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს ჯეოკეპი

ფულადი ნაკადების ინდივიდუალური ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

	2020	2019
მომხმარებლებისგან მიღებული ფული	8,273,706	6,638,842
მომწოდებლებზე გადახდილი ფული	(6,576,992)	(4,846,504)
დასაქმებულებზე გადახდილი ფული	(291,542)	(251,794)
გადახდილი გადასახადები	(920,876)	(800,985)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	484,296	739,559
ძირითადი საშუალებების შეძენა	(35,506)	(104,236)
ძირითადი საშუალებების გაყიდვა	9,809	16,721
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	(25,697)	(87,515)
მიღებული სესხები	-	251,248
სესხების დაფარვა	(405,518)	(438,039)
გადახდილი პროცენტები	(266,882)	(298,098)
წმინდა ფულიადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	(672,400)	(484,889)
ფულადი სახსრების წმინდა (შემცირება)/ზრდა	(213,801)	167,155
ფულადი სახსრები წლის დასაწყისისთვის	275,348	119,476
უცხოური ვალუტის ცვლილების ეფექტი ფულად სახსრებზე	8,905	(11,283)
ფულადი სახსრები წლის ბოლოს	70,452	275,348

9-16 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს "ჯეოკეპი" დაფუძნდა 2014 წლის 13 ივნისს, საიდენტიფიკაციო კოდი: 405047818, მარეგისტრირებული ორგანო არის სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო. კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ.თბილისი, ვაკის რაიონი, ვაჟა-ფშაველას გამზ. VII კვ. კორ.20 ბ.30. კომპანიის 100% წილის მფლობელია შპს "ბუმბა". კომპანიის დირექტორია გიორგი ჯამრიშვილი. კომპანიის საქმიანობას წარმოადგენს პლასტმასის შესაფუთი მასალების წარმოება და რეალიზაცია.

2. მომზადების საფუძველები

წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია "ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისთვის" (შემდგომში მსს ფასს) შესაბამისად. კომპანია იყენებს აღნიშნული სტანდარტის 9.3 პუნქტით მოცემულ გათავისუფლების უფლებას და არ ამზადებს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას. კერძოდ, კომპანია, როგორც მშობელი საწარმო ვალდებული არ არის, წარადგინოს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, თუ ის თვითონ არის სხვა საწარმოს შვილობილი საწარმო; და მისი მშობელი საწარმო ადგენს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას მსს ფასს სტანდარტის შესაბამისად. კომპანია წარმოადგენს შპს ბუმბას 100%-იან შვილობილს, რომელმაც 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მსს ფასს სტანდარტით მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა 2021 წლის 2 ივნისს.

კომპანია იყენებს ერთი და იგივე სააღრიცხვო პოლიტიკას ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი ყველა პერიოდისათვის. ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში კომპანია იყენებს გარკვეულ მნიშვნელოვან სააღრიცხვო შეფასებებს, როგორც ამას მოითხოვს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები. ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების არეები, რომლისთვისაც ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში კომპანია იყენებს მნიშვნელოვან დაშვებებსა და შეფასებებს, მოცემულია მე-3 შენიშვნაში.

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე. მოცემული ფინანსური ანგარიშგება წარდგენილია ქართულ ლარში, რომელიც წარმოადგენს კომპანიის სამუშაო ვალუტას. რიცხვები ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულია ლარამდე დამრგვალებით, თუ სხვაგვარად არის არის აღნიშნული.

ფუნქციონირებადი საწარმო

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით - რაც გულისხმობს, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის ხელმძღვანელობასა და მფლობელს სურვილი აქვთ, განავითარონ კომპანიის საქმიანობა საქართველოში. მომზადების საფუძვლის მიზანშეწონილობის დადგენისას, კომპანიის ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა COVID-19 პანდემიის გავლენა კომპანიის ფუნქციონირებადობაზე. პანდემიით გამოწვეულ შეზღუდვებს, რეგულაციებს და რეაგირებებს განსხვავებული გავლენა აქვს სხვადასხვა საოპერაციო სეგმენტზე. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ უწყვეტობის პრინციპის გამოყენება შესაფერისია კომპანიისთვის.

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია შენიშვნა 21-ში. აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულადაა გამოყენებული ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა ინფორმაციაზე, თუ ეს სხვაგვარად არაა აღნიშნული.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

კომპანია ახდენს შეფასებებისა და დაშვებების გადახედვას საწარმოს უწყვეტობის საფუძველზე. სააღრიცხვო შეფასების გადასინჯვის შედეგები აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც შეფასება იქნა გადახედილი, თუ აღნიშნული ეხება მხოლოდ ამ პერიოდს; ან გადასინჯვისა და მომავალ პერიოდებში, თუ გადახედვა ეხება ორივე, მიმდინარე და მომავალ პერიოდებს.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები (გაგრძელება)**ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები**

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადების განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს კომპანია აქტივიდან სარგებლობის მიღებას. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ვარიაციები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ფინანსური აქტივების გაუფასურება - გაუფასურების რეზერვის დარიცხვა ხდება, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება (როგორცაა კონტრაგენტის მნიშვნელოვანი ფინანსური სიძნელეები, დეფოლტი, გადახდის პირობების მნიშვნელოვანი დარღვევა), რომ კომპანია ვერ მიიღებს თანხას მთლიანი მოცულობით, ხოლო რეზერვის თანხა წარმოადგენს წმინდა საბალანსო ღირებულებასა და გაუფასურებული მოთხოვნის მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებას შორის სხვაობას. როდესაც დასტურდება, რომ კომპანია ვერ მიიღებს მოთხოვნებში არსებულ თანხებს მთლიანი საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება შესაბამის რეზერვთან.

4. შესადარისი ინფორმაციის ცვლილება

კომპანიის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით უკეთესი წარდგენის მიზნებისთვის გაკეთდა წინა პერიოდის რეკლასიფიკაციები.

წინა პერიოდის რეკლასიფიკაციები შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	2019 ცვლილებამდე	კორექტირება	რეკლასიფიკაცია	2019 ცვლილების შემდეგ
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	6,322,605	19,288	(3,532,786)	2,809,107
მიმდინარე ქტივები				
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	770,740	(19,288)		751,452
საწესდებო კაპიტალი და ვალდებულებები				
საწესდებო კაპიტალი				
გადაფასების რეზერვი	3,532,786		(3,532,786)	-
გრძელვადიანი ვალდებულებები				
მიღებული სესხები	4,768,710		108,594	4,877,304
მიმდინარე ვალდებულებები				
მიღებული სესხები	1,462,168		(108,594)	1,353,574
ფინანსური შედეგების ანგარიშგება				
რეალიზებული პროდუქციის	(3,979,686)		(396,055)	(4,375,741)
თვითღირებულება				
მიწოდების ხარჯები	-		(100,992)	(100,992)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(1,004,804)		779,715	(225,089)
ზარალი საკუთროს სხვაობიდან, წმინდა	-		(264,413)	(264,413)
ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან	-		(18,255)	(18,255)
მიღებული მოგება (ზარალი)				

შპს ბუმბა

ინდივიდუალური მმართველობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

5. ძირითადი საშუალებები

ისტორიული ღირებულება	მიწა	შენობა- ნაგებობები	მანქანა- დანადგარები	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სულ
2018 წლის 31 დეკემბერი	398,000	689,648	4,304,576	94,656	5,486,880
შემოსვლა	-	-	75,114	103,997	179,111
გასვლა	-	-	-	(15,674)	(15,674)
2019 წლის 31 დეკემბერი	398,000	689,648	4,379,690	182,979	5,650,317
შემოსვლა	-	-	13,782	23,493	37,275
გასვლა	-	-	(74,459)	(14,541)	(89,000)
2020 წლის 31 დეკემბერი	398,000	689,648	4,319,013	191,931	5,598,592
დაგროვილი ცვეთა	-	-	-	-	-
2018 წლის 31 დეკემბერი	-	(103,014)	(2,220,397)	(33,758)	(2,357,169)
ცვეთა	-	(29,332)	(426,995)	(29,489)	(485,816)
გასვლა	-	-	-	1,775	1,775
2019 წლის 31 დეკემბერი	-	(132,346)	(2,647,392)	(61,472)	(2,841,210)
ცვეთა	-	(27,865)	(338,972)	(25,550)	(392,387)
გასვლა	-	-	49,386	5,458	54,844
2020 წლის 31 დეკემბერი	-	(160,211)	(2,936,978)	(81,564)	(3,178,753)
წმინდა საბალანსო ღირებულება	-	-	-	-	-
2019 წლის 31 დეკემბერი	398,000	557,302	1,732,298	121,507	2,809,107
2020 წლის 31 დეკემბერი	398,000	529,437	1,382,035	110,367	2,419,839

6. ინვესტიცია შეიღობილ საწარმოში

შპს ჯეოკეპი ფლობს 100%-იან წილს შპს ჯამპლასტში და შპს ენგი პლასტში. 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარებით აღნიშნულ კომპანიებში განხორციელებული ინვესტიცია შეადგენს 5,571,055 და 986,475 ლარს, შესაბამისად.

7. მარაგები

	31.12.2020	31.12.2019
ნედლეული და მასალები	1,152,869	912,227
მზა პროდუქცია	310,430	316,219
სხვა	53,109	15,955
	<u>1,516,408</u>	<u>1,244,401</u>

8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31.12.2020	31.12.2019
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	1,054,206	584,745
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	734,668	166,707
დაკავშირებულ მხარეზე გაცემული სესხი	185,403	-
	<u>1,974,277</u>	<u>751,452</u>

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები არის მიმდინარე, არავადაგადაცილებული და არაგაუფასურებული.

9. ფული და ფულის ეკვივალენტები

	31.12.2020	31.12.2019
ფული სალაროში ეროვნულ ვალუტაში	1,309	4,510
ფული ბანკში ეროვნულ ვალუტაში	65,624	1,486
ფული ბანკში უცხოურ ვალუტაში	3,519	269,352
	<u>70,452</u>	<u>275,348</u>

შპს ბუმბა

ინდივიდუალური მმართველობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

10. მიღებული სესხები

	საპროცენტო განაკვეთი	ვალუტა	დაფარვის თარიღი	მოკლევადიანი 31.12.2020	გრძელვადიანი 31.12.2020
ლიბერთი ბანკი #101 4032291 001-001	5%	ევრო	10/2/2028	651,372	5,436,600
ლიბერთი ბანკი #101.4032291.001-002	5%	ევრო	7/4/2021	1,311,239	-
				1,962,611	5,436,600

	საპროცენტო განაკვეთი	ვალუტა	დაფარვის თარიღი	მოკლევადიანი 31.12.2019	გრძელვადიანი 31.12.2019
ლიბერთი ბანკი #101 4032291 001-001	5%	ევრო	10/2/2028	386,898	4,877,304
ლიბერთი ბანკი #101.4032291.001-002	5%	ევრო	7/4/2021	966,676	-
				1,353,574	4,877,304

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია ვერ აკმაყოფილებდა რამდენიმე სახის შეზღუდვას სს „ლიბერთი ბანკისგან“ მიღებულ სესხებზე. მოთხოვნილი შეზღუდვების დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში მსესხებლებს შეუძლიათ მოითხოვონ დარჩენილი სესხის ნაშთის სრული ანაზღაურება. კომპანიამ მიიღო პირობების დარღვევით მიღებულ უფლებაზე უარის თქმის წერილი ბანკისგან.

სესხი უზრუნველყოფილია კომპანიის ძირითადი საშუალებებითა და კომპანიის არსებული და სამომავლო მოძრავი ქონებით.

11. საგადასახადო ვალდებულებები

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად კომპანიამ გადასახადები უნდა გადაიხადოს ერთიანი სახაზინო კოდით. შედეგად კომპანიამ წარადგინა საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები ნეტო საფუძველზე, როგორც საგადასახადო ვალდებულება. საგადასახადო ვალდებულება 2020 და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შესაბამისად შეადგენს 79,509 და 39,016 ლარს.

12. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31.12.2020	31.12.2019
ფინანსური ვალდებულება		
სავაჭრო ვალდებულებები	745,327	541,516
ვალდებულებები წილის გამოსყიდვაზე	100	100
	745,427	541,616
არაფინანსური ვალდებულებები		
მიღებული ავანსები	52,099	1,088
	52,099	1,088
	797,526	542,704

ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას დაფარვის მოკლევადიანობის გამო.

13. ამონაგები

	2020	2019
საცობი	6,155,678	5,527,340
პრეფორმა	3,532	-
სხვა	503,881	8,536
	6,663,091	5,535,876

14. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

	2020	2019
საცობი	(4,007,774)	(4,368,994)
პრეფორმა	(3,145)	-
სხვა	(405,419)	(6,747)
	(4,416,338)	(4,375,741)

შპს ბუმბა

ინდივიდუალური მმართველობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

15. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2020	2019
საიჯარო ქირა	(508,475)	-
შრომის ანაზღაურება	(171,968)	(124,118)
ძირითადი საშუალებების რემონტი	(23,271)	(20,655)
ქონების გადასახადის ხარჯები	(21,960)	(25,620)
სატრანსპორტო მომსახურება	(12,320)	-
კომუნიკაციის ხარჯები	(8,043)	(1,830)
დაზღვევის ხარჯი	(4,162)	(3,326)
ცვეთა	(3,446)	(4,793)
საკონსულტაციო ხარჯები	(938)	(8,575)
მივლინების ხარჯები	(766)	(14,363)
სხვა ხარჯები	(71,158)	(21,809)
	(826,507)	(225,089)

16. ფინანსური ხარჯი

	2020	2019
სს ლიბერთი ბანკი	(329,787)	(322,703)
	(329,787)	(322,703)

17. ზარალი საკურსო სხვაობიდან, წმინდა

	2020	2019
ეფექტი ფულსა და ფულის ეკვივალენტებზე	8,904	(11,283)
ეფექტი სხვა ფინანსურ ინსტრუმენტებზე	(1,469,909)	(253,130)
	(1,461,005)	(264,413)

18. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებულ მხარეებთან ყოველი შესაძლო ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ექცევა ამ ურთიერთობის არსს და არა უბრალოდ იურიდიულ ფორმას. კომპანიასა და მის დაკავშირებულ მხარეებს შორის ოპერაციების შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ.

	ურთიერთობა	ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან 2020	ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან 2019
ინვესტიცია შვილობილ საწარმოებში		5,571,055	986,475
შპს ჯამპლასტი	შვილობილი	5,571,055	986,475
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		797,526	542,704
შპს ბუმბა	დამფუძნებელი	-	80,171
შპს ჯამპლასტი	შვილობილი	112,000	70,000
შპს ენგი პლასტ	შვილობილი	397,206	216,537
შპს პეტ პლასტ ჯორჯია	სხვა	7,870	31,643
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		1,974,277	751,452
შპს ბუმბა	დამფუძნებელი	689,496	-
ამონაგები		6,663,091	5,535,876
შპს ბუმბა	დამფუძნებელი	818,823	486,239
შპს პეტ პლასტ ჯორჯია	სხვა	20,147	4,258
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		4,416,338	4,375,741
შპს ბუმბა	დამფუძნებელი	699,536	445,420
შპს პეტ პლასტ ჯორჯია	სხვა	13,831	3,506

უმაღლესი ხელმძღვანელობის ანაზღაურებამ შეადგინა 45,000 და 40,000 ლარი 2020 და 2019 წლების პერიოდში, შესაბამისად.

19. პირობითი ვალდებულებები

დაბეგვრის გაუთვალისწინებელი გარემოებები

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა არის სხვადასხვაგვარად ინტერპრეტაციისა და ცვლილების საგანი. ხელმძღვანელობის მხრიდან საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების მიერ ინტერპრეტაციებისაგან და კომპანიის ოპერაციები შეიძლება გასაჩივრდეს საგადასახადო ორგანოების მიერ. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ მიმოიხილონ კომპანიის ოპერაციები 3 წლის მანძილზე.

საგადასახადო ვალდებულებებთან დაკავშირებული ანარიცხები აღიარდება მაშინ, როდესაც თანხის გაზომვა საიმედოდ არის შესაძლებელი. სავარაუდოდ ვალდებულებაზე ანარიცხი არ აღიარდება, სანამ არ მოხდება შესაბამისი შეფასება. კომპანიის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობიდან გამომდინარე, ადგილი არ ექნება რაიმე სახის დამატებითი ვალდებულების დარიცხვას, გარდა იმისა, რაც კომპანიას თვითონ აქვს აღრიცხული შესაბამის პერიოდებში.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით, კომპანია გადასახდელი მოგების გადასახადის ვალდებულებასა და ხარჯს აღიარებს განაწილებულ დივიდენდზე, იმ პერიოდში, როდესაც დივიდენდები არის გამოცხადებული, მიუხედავად იმისა, თუ რომელ პერიოდს ეკუთვნის დივიდენდი, ან როდის მოხდა დივიდენდების საბოლოო განაწილება.

სასამართლო დავები

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ გააჩნია არსებითი სასამართლო დავები. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ არ მოხდება არანაირი მატერიალური დანაკარგის წარმოქმნა, შესაბამისად არანაირი ანარიცხი არ არის შექმნილი სასამართლო დავებთან დაკავშირებით.

საოპერაციო გარემო

განვითარებადი ბაზრები, როგორცაა საქართველო, ექვემდებარება სხვადასხვა რისკებს, სხვა განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით, როგორცაა ეკონომიკური, პოლიტიკური, იურიდიული და საკანონმდებლო რისკები. კანონები და რეგულაციები, რომლებიც გავლენას ახდენს საქართველოში ბიზნესზე, სწრაფად იცვლება, საგადასახადო და მარეგულირებელი ჩარჩოები კი სხვადასხვაგვარ ინტერპრეტაციას ექვემდებარება. საქართველოს მომავალ ეკონომიკურ მიმართულებაზე დიდ გავლენას ახდენს მთავრობის მიერ მიღებული ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა, იურიდიულ, მარეგულირებელ და პოლიტიკურ გარემოში განვითარებულ მოვლენებთან ერთად.

სესხის შეზღუდვებთან შესაბამისობა

მიღებულ სესხებთან დაკავშირებით კომპანიას მოეთხოვება გარკვეული შეზღუდვების დამაყოფილება. აღნიშნულ შეზღუდვებთან შეუსაბამობა კომპანიისთვის შესაძლოა იყოს უარყოფითი შედეგების მომტანი, რაც გამოიწვევს მიღებულ სესხებთან დაკავშირებული ხარჯების გაზრდას და საქმიანობის შესაძლო შეწყვეტას. კომპანია 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ვერ აკმაყოფილებდა გარკვეულ შეზღუდვებს. დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ მე-10 შენიშვნა.

20. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდომ არ ყოფილა ისეთი მოვლენა, რომელიც უნდა გაიშიფროს ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში.

21. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკები ეხება წარდგენილ ყველა წელს, თუ განსხვავებული არ არის განცხადებული.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

კომპანიის სამუშაო ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი („ლარი“). უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ტრანზაქციები თავდაპირველად აღიარდება სამუშაო ვალუტაში ტრანზაქციის განხორციელების თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. საანგარიშგებო თარიღში უცხოურ ვალუტაში დაფიქსირებული მონეტარული აქტივებისა და ვალდებულებების გადაფასება ხორციელდება ამ თარიღისათვის არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. გადაფასებით წარმოქმნილი საკურსო სხვაობები აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

შპს ბუმბა

ინდივიდუალური მმართველობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

21. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

2020 და 2019 წლის 31 დეკემბრის უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი (საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი) იყო შემდეგი:

	საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული გაცვლითი კურსი	
	აშშ დოლარი	ევრო
კურსი 2020 წლის 31 დეკემბრისთვის	3.2766	4.0233
კურსი 2019 წლის 31 დეკემბრისთვის	2.8677	3.2095

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივები მოიცავს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს და ფულად სახსრებსა და მის ეკვივალენტებს. ყველა ფინანსური აქტივი თავდაპირველი აღიარებისას ფასდება გარიგების ფასით. ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას, დაფარვის მოკლევადიანობის გამო.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, კომპანია აფასებს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს მისაღები ფულადი სახსრების ან სხვა სახის კომპენსაციის არადისკონტირებული ღირებულებით, ანუ გაუფასურების გამოკლებით.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე. ფული და ფულის ეკვივალენტები აღიარებულია ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მიხედვით.

გაუფასურება

კომპანია ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს საზღვრავს, არსებობს თუ არა რაიმე ობიექტური მტკიცებულება იმ ფინანსური აქტივების გაუფასურებისა, რომლებიც შეფასებულია თვითღირებულებით ან ამორტიზირებული ღირებულებით. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება, კომპანია დაუყოვნებლივ აღიარებს გაუფასურების ზარალს სრული შემოსავლის ინდივიდუალურ ანგარიშგებაში.

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს და მიღებულ სესხებს. ყველა ფინანსური ვალდებულება თავდაპირველი აღიარებისას ფასდება გარიგების ფასით.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, კომპანია აფასებს სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს გადასახდელი ფულადი სახსრების ან სხვა სახის კომპენსაციის არადისკონტირებული ღირებულებით. სავაჭრო და სხვა ვალდებულებების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას, დაფარვის მოკლევადიანობის გამო.

მიღებული სესხები

მიღებული სესხები შეფასებულია ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, რომელთა ფულადი სახსრები ზუსტად დისკონტირდება მიღებული სესხების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების დანეტება

კომპანია ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს ანეტებს მაშინ, როდესაც ურთიერთჩათვლა იურიდიულად არ არის შეზღუდული და კომპანია გეგმავს ანგარიშსწორებას ნეტო საფუძველზე ან ფინანსური აქტივის მიღებას და ვალდებულების დაფარვას გეგმავს ერთგვაროვნად.

ფინანსური ვალდებულებებისა და აქტივების აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც: (ა) ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს ვადა გასდის; (ბ) იგი გადასცემს ფინანსურ აქტივთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების მიღების უფლებას, ან შედის ისეთ გარიგებაში, როდესაც: (i) აქტივის გასვლასთან ერთად ხდება ყველა არსებითი რისკისა და სარგებლის კომპანიიდან გასვლა; ან (ii) კომპანია არ გადასცემს აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ რისკსა და სარგებელს, მაგრამ ასევე არ ინარჩუნებს კონტროლს ამ აქტივზე. კონტროლის შენარჩუნება ხდება, თუ კონტრაგენტს არ აქვს უფლება, გაყიდოს აქტივი მესამე მხარეზე,

21. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

გაყიდვასთან დაკავშირებული დამატებითი შეზღუდვების გათვალისწინების გარეშე, კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც ვალდებულებას სრულდება, უქმდება ან გასდის ვადა. სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად და სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ, ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება სრულ შემოსავალში.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღიარებულია პირვანდელ ღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთის და გაუფასურების ხარჯის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) საფუძველზე.

ძირითადი საშუალებების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასს და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად, ასევე დემონტაჟისა და მოხსნის ხარჯების მიმდინარე ღირებულებას, რომლებიც მომავალში გაიწევა.

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი გაწევის პერიოდში.

ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. კომპანია იყენებს ცვეთის კლებადი ნაშთის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფისათვის.

მიწა	ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
		არ ცვდება
შენობა-ნაგებობები		20
მანქანა დანადგარები და ავეჯი/სხვა ინვენტარი		5

მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული თანხის შედარებით და ჩაირთვება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. მარაგების თვითღირებულება მოიცავს მათ შეძენასთან და გადამუშავებასთან დაკავშირებულ და აგრეთვე იმ დანახარჯებს რომელიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისა და სათანადო მდგომარეობაში მოყვანისათვის. სავაჭრო ფასდათმობები და გადასახადები რომლებსაც კომპანია საგადასახადო ორგანოსგან იბრუნებს არ ჩაირთვება შეძენის დანახარჯებში.

მარაგის გადამუშავების დანახარჯები მოიცავს: პირდაპირ შრომით დანახარჯებს, ცვეთის ანარიცხებს, საწარმოო შენობებისა და მოწყობილობების ექსპლუატაციის ხარჯებს, და, საერთოდ, ისეთ დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდაა დაკავშირებული პროდუქციის ერთეულის წარმოებასთან.

კომპანია ყველა სახის მარაგის ჩამოწერისთვის იყენებს საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდს.

კომპანია მარაგებს წარადგენს თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. ყოველ საანგარიშო პერიოდში ხდება მარაგების შეფასება გაუფასურებაზე. თუ აღმოჩნდა, რომ მარაგები გაუფასურებულია, საბალანსო ღირებულება მცირდება გაყიდვის ფასს მინუს გაყიდვასთან დაკავშირებული ხარჯების ღირებულებამდე და გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

დაბეგვრა

საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად მოგების გადასახადით იბეგრება წმინდა მოგების განაწილება. საანგარიშგებო პერიოდში მოგების გადასახადის მოქმედი განაკვეთი არის 15%, ტექნიკურად, გადასახადის დაანგარიშების მიზნებისთვის დასაბეგრ მოგებას მიესადაგება შემდეგი განაკვეთი - 15%/85%. მოგების გადასახადის გადახდა ხდება ფიზიკურ და არა-რეზიდენტ (როგორც ფიზიკურ, ისე იურიდიულ) პირებზე გაცემულ დივიდენდზე.

21. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

საგადასახადო კოდექსის შესაბამისად, მოგების გადასახადით იზეგრება შემდეგი ოპერაციები/გადახდები:

- დივიდენდის გადახდა
- სახელშეკრულებო და საბაზრო ფასს შორის სხვაობა
- ხარჯები, რომლებიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან
- გადახდები, რომლებიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან
- საქონლის უსასყიდლო მიწოდება
- ლიმიტის ზემოთ წარმომადგენლობითი ხარჯები

კომპანია აღიარებს მოგების გადასახადს და ვალდებულებას იმ პერიოდში, როდესაც ხდება დივიდენდის გამოცხადება, მიუხედავად იმისა, რომელი პერიოდის დივიდენდის გაცემას ეხება ან როდის გაიცემა.

საქართველოში არსებული საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობიდან გამომდინარე, აქტივებისა და ვალდებულებების საგადასახადო და ფინანსურ ბაზებს შორის სხვაობები არ წარმოშობენ გადავადებულ საგადასახადო აქტივსა და ვალდებულებას.

გადასახადები, გარდა მოგების გადასახადისა, აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება წესდებით. კომპანიის წესდების ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ დამფუძნებლების გადაწყვეტილების საფუძველზე. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით.

დივიდენდები

დივიდენდები აღიარდება როგორც ვალდებულება და შესაბამისი თანხით მცირდება კაპიტალი იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც მოხდა დივიდენდის გამოცხადება. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე გამოქვეყნებული დივიდენდები განიმარტება საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მოვლენებში.

ამონაგები

შემოსავლის განსაზღვრა ხდება საქონლის ან მომსახურების გაყიდვიდან მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. შემოსავლები წარმოდგენილია ფასდაკლებების გამოკლებით. კომპანია ამონაგებს აღიარებს, როდესაც შემდეგი პირობებია შესრულებული:

- (ა) ამონაგების ოდენობის შეფასება შესაძლებელია საიმედოდ;
- (ბ) მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა საწარმოში;
- (გ) შესაძლებელია მომსახურების მიწოდების ხელშეკრულების შესრულების სტადიის საიმედოდ შეფასება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს; და
- (დ) შესაძლებელია მომსახურებაზე უკვე გაწეული და ხელშეკრულების მთლიანად შესასრულებლად საჭირო მომავალი დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

თანამშრომელთა ხელფასები და სხვა სარგებელი

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი მომსახურება მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

21. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

საპროცენტო ხარჯის აღიარება

საპროცენტო ხარჯი აისახება ყველა ფინანსურ ინსტრუმენტთან მიმართებაში დარიცხვის პრინციპის საფუძველზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. კომპანიის ფინანსური ხარჯი მოიცავს მიღებულ სესხებზე დარიცხულ საპროცენტო ხარჯს.

ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან არ არის მოსალოდნელი.

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები, მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში შესაძლებელია - აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ჰქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობებთან. ვალდებულება კი წარმოადგენს კომპანიის მიმდინარე დავალიანებას, რომელიც წარმოიშვა წარსული მოვლენის შედეგად და რომლის დაფარვა გამოიწვევს კომპანიიდან ეკონომიკური სარგებლის გადინებას.

ვალდებულების წარმოშობი მოვლენა არის მოვლენა, რომელიც წარმოშობს სამართლებრივ ან კონსტრუქციულ ვალდებულებას, რაც გულისხმობს, რომ კომპანიას არ გააჩნია სხვა რეალური ალტერნატივა, და მან უნდა დაფაროს თავისი ვალდებულებები. სამართლებრივი ვალდებულება გამომდინარეობს:

- გარიგებიდან (ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ან ნაგულისხმევი პირობების გათვალისწინებით);
- კანონმდებლობიდან; ან
- სხვა სამართლებრივი ქმედებიდან.

კონსტრუქციული ვალდებულება გამომდინარეობს კომპანიის ქმედებიდან, სადაც:

- წარსულში დადგენილი პრაქტიკიდან, კომპანიის მიერ გამოქვეყნებული პოლიტიკიდან ან სპეციფიკური მიმდინარე ანგარიშგებიდან გამომდინარე, კომპანია მიაჩნის სხვა მხარეებს, რომ იგი იღებს გარკვეულ პასუხისმგებლობებს; და
- შედეგად, მესამე მხარეს კომპანიასთან მიმართებაში გააჩნია გარკვეული მოლოდინი, რომ იგი შეასრულებს ამ პასუხისმგებლობებს.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.